



---

**ავტომობილის დაზღვევის პირობები**  
**MOTOR INSURANCE WORDING**

---

**ავტომობილი** **ფიქსი** | **AUTO** **FIX**

---

**იმოძრავე, ჩვენ დაგაზღვავეთ.**

**1. ტერმინთა განმარტებები**

- 1.1. **თქვენ** - ფიზიკური პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება “მზღვეველთან” (“დამზღვევი”);
- 1.2. **ჩვენ** - სს “სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი” (“მზღვეველი”); ს/კ 204426674, მის: კოსტავას ქ. N67, თბილისი, საქართველო;
- 1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;
- 1.4. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისაგან;
- 1.5. **სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)** - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც თქვენ, მისი მიღების შემდგომ, გაძლევთ უფლებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოთ სადაზღვევო ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- 1.6. **დაზღვეული ავტომობილი** - პოლისში მითითებული თქვენს კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი, რომლის ღირებულება არის USD 10,000 ან ნაკლები (ან ექვივალენტი ლარში / ევროში);
- 1.7. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში (დაწყების და დასრულების თარიღების ჩათვლით);
- 1.8. **ანაზღაურების ლიმიტი / სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას ავანაზღაუროთ ზარალი;
- 1.9. **საბაზრო ღირებულება** - დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე დაზღვეული ავტომობილის იდენტური მონაცემების მქონე სხვა ავტომობილს შეიძენთ;
- 1.10. **ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი, რომელსაც ჩვენ არ ავანაზღაურებთ, აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაში;
- 1.11. **დაზღვევის ტერიტორიული საზღვრები** - საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიების;
- 1.12. **აქსესუარი** - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის - აუდიო და ტელე-ვიდეო აპარატურა, გათობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები;
- 1.13. **ცალკეული დეტალები** - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები, ფირები, საბურავები, დისკები და მისი საფარები;
- 1.14. **სადაზღვევო შემთხვევა / ზარალი** - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა/დაზღვეული რისკი, რომლის შედეგადაც დაზღვევის მოქმედების პერიოდში დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას;
- 1.15. **სრული ზარალი/განადგურება** - ავტომობილის დაზიანება 70%-ზე მეტად (აღდგენის ღირებულება აჭარბებს საბაზრო ღირებულების 70%-ს) ან ავტომობილის ქურდობით გამოწვეული ზარალი;
- 1.16. **სადაზღვევო შესატანი (პრემია)** - დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გადასახდელი დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში;;
- 1.17. **გამომუშავებელი პრემია** - პრემიის ის ნაწილი, რომელიც შესაბამეა დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- 1.18. **უფლებამოსილი მძღოლი** - პირი, რომლის ასაკი არის 21 წელი ან მეტი და გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა;

**1. DEFINITIONS**

- 1.1. **You** – Private person having signed an Insurance Agreement with the Insurer (hereinafter Policyholder, Insured);
- 1.2. **We** - JSC “Insurance Company GPI Holding” (hereinafter - Insurance Company, Insurer); ID: 204426674, Add: Kostava St. N67, Tbilisi, Georgia;
- 1.3. **Beneficiary** - Person entitled by Insurance Agreement to receive an insurance indemnity;
- 1.4. **Insurance Agreement** - The agreement between **Us** and **You**, which is comprised of this Wording, relevant Insurance application and the Policy(ies), issued on the basis of the application;
- 1.5. **Insurance Certificate (Policy)** - Document certifying insurance, which, after receiving it, gives **You** the right to claim a loss in the event of an insured event, under the conditions stipulated in Insurance Agreement;
- 1.6. **Insured Vehicle** - The vehicle specified in the Policy that is in your lawful possession and the value of which is USD 10,000 or less (or the equivalent in GEL / EUR);
- 1.7. **Insurance Period** - Period of validity of the insurance indicated in the **policy** (including the commencement and end dates);
- 1.8. **Sum Insured / Limit of indemnity** – The maximum limit of indemnity within which **We** are obliged to indemnify for the loss during the validity of insurance (indicated in the **policy**, for each section separately);
- 1.9. **Market Value** - The market value of the insured vehicle - the cost to replace the vehicle in Georgia with a vehicle with identical specifications;
- 1.10. **Deductible** - Part of loss, not indemnified by **Us**; It will be deducted from indemnity in case of each and every loss;
- 1.11. **Territorial Limits** - The insurance is effective within the territory of Georgia (except occupied territories);
- 1.12. **Accessories** - Parts of the vehicle that are not directly related to its functioning as a vehicle, such as audio, TV and DVD equipment, other built-in entertainment, telephones, walkie-talkies and other communication facilities, etc.;
- 1.13. **Separate Parts** - trimmings/edgings, mouldings and other plastic parts, windshield wipers, emblems, antennas, all types of decorative parts, films (or decals/wraps), tires, wheels (or rims) and wheel covers (or hubcaps);
- 1.14. **Insured Event / Loss** – An accident which may raise a claim/loss under the **Insurance Agreement**. An insured event is the damage/loss that occurs during the period of insurance as a consequence of an insured risk;
- 1.15. **Total Loss** - Means theft, damage/loss of the vehicle by 70% and upward (cost of recovery equals 70% and upward of the vehicle’s market value) or in case of theft;
- 1.16. **Insurance Premium** - The cost of insurance (**Premium**) to be paid by the insured to insurer. Its amount and payment terms are indicated in the **policy**;
- 1.17. **Earned Premium** – part of the **premium** which corresponds to the ratio between the period from the insurance commencement up to a specific date and the period of initial **policy**;
- 1.18. **Authorized Driver** – A person whose age is 21 years or older and who holds a valid driving license of the appropriate category (or class);

- 1.19. **ნარჩენი ღირებულება** - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი;
- 1.20. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი (ფიზიკური, იურიდიული), რომლის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას/ქონებას მიაღება ზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, **თქვენ**, **თქვენი** ოჯახის წევრების.

**2. ავტომობილის ძარის დაზღვევა**

- 2.1. “ავტო ფიქსის” პირობებით ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის სრული ან ნაწილობრივი ზარალი ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:
  - 2.1.1. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
  - 2.1.2. ქურდობა, გატაცება, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;
  - 2.1.3. ხანძარი, აფეთქება;
  - 2.1.4. ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;
  - 2.1.5. წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
  - 2.1.6. მინების დაზიანება სხვადასხვა საგნის მოხვედრის შედეგად;
- 2.2. თუ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო დაზარალებით, **ანაზღაურების ლიმიტის** ფარგლებში ავტომობილზე ავტომობილის დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან გადაგიხდით ზარალის ადეკვატურ თანხას;
- 2.3. **ჩვენ** აგრეთვე ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის ევაკუირების ხარჯებს (უახლოეს სარემონტო/შემკეთებელ ცენტრამდე);

**3. ავტომფლობელის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა**

- 3.1. **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების ლიმიტის** ფარგლებში ავტომფლობელს ავანაზღაურებთ თანხას, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა **თქვენ** წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან **თქვენ** მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაგეგმვათ **თქვენ**, უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - **მესამე პირის** სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან **მესამე პირის** ქონებისთვის მიყენებული ზიანი (გარდა შემთხვევების, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით ან რომელიც იმყოფებოდა **თქვენი/ მოსარგებლის** მეთვალყურეობის ქვეშ);
- 3.2. ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;
- 3.3. **პოლისით** განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში **ჩვენ** ავანაზღაურებთ:
  - 3.3.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაზღვეული ავტომობილით **მესამე პირისათვის** მიყენებული ზარალისთვის, ან/და
  - 3.3.2. თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ **თქვენსა** და დაზარალებულ **მესამე პირს** შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 3.5);
  - 3.3.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;

- 1.19. **Salvage Value** – The market value of the vehicle damaged as a result of an insured event (or insured loss);
- 1.20. **Third party** - Any person (natural or juridical) whose life, health or property was damaged as a result of the use of the insured vehicle, except for an insured driver and passengers of the insured vehicle, **You** and Your family members.

**2. MOTOR CASCO INSURANCE**

- 2.1. “**Auto Fix**” indemnifies total loss or partial loss/damage to the insured vehicle caused by:
  - 2.1.1. Traffic accident;
  - 2.1.2. Act or attempt of theft, hijack, robbery;
  - 2.1.3. Fire, explosion;
  - 2.1.4. vandalism, fall of objects;
  - 2.1.5. Natural disasters - flood, snowstorm, air flow velocity over 25 m/sec, landslide, mudflow, earthquake, hail;
  - 2.1.6. Separate damage to glass caused by an impact from various objects;
- 2.2. If **You** have suffered losses or damages due to any of the above reasons, **We** will indemnify (within the limit of indemnity) the cost of repair of the insured vehicle, or indemnify the amount of money, adequate to the damage/loss;
- 2.3. **We** will also indemnify expenses for evacuation of the damaged vehicle, caused by the insured event (to the nearest repair center).

**3. Motor Third Party Liability Insurance (MTPL)**

- 3.1. Within the limit of the liability stated in the **policy We** will indemnify **You** in respect of damage to third parties arising from driving or use of **Your** insured vehicle. In particular - loss or damage to the life or health of third parties and/or loss or damage to the property of third parties (except cases when damage to the property of third party incurred during its transportation / towing by the vehicle or property of third party while being under care, custody or control of **You** Beneficiary insured by this section);
- 3.2. **We** will also indemnify liabilities of other persons arising from driving or use of the insured vehicle. This may be a passenger being driven or getting in or out of the insured vehicle;
- 3.3. **We** will indemnify (within the limit of liability):
  - 3.3.1. Cost of damages caused by the insured vehicle, which, upon court decision, **You** are liable to pay to third party; or
  - 3.3.2. Costs, based on the mutual agreement, should **We** agree with third party to pay indemnity without legal proceedings (see 3.5.);
  - 3.3.3. Legal or other expenses in respect of loss settlement;
- 3.4. For these purposes, taking any legal or other expenses or recognition of the liability to the third party shall be agreed with **Us** in writing, otherwise **We** will be entitled not to pay loss;

- 3.4. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან **მესამე პირის** მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი;
- 3.5. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:
- 3.5.1. **მესამე პირის** ქონების დაზიანებისას, **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების ლიმიტის** ფარგლებში ანაზღაურდება:
- თუ **მესამე პირის** ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
  - თუ **მესამე პირის** ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;
- 3.5.2. **მესამე პირის** ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების ლიმიტის** ფარგლებში ანაზღაურდება:
- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
  - დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
  - დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.6. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებულ რამდენიმე **მესამე პირი**, ხოლო **თქვენზე** დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს **პოლისში** მითითებულ **ანაზღაურების ლიმიტს**, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
- 3.7. ავტომფლობელის **მესამე პირთა** მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება:
- 3.7.1. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- 3.7.2. ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეული ავტომობილის მძღოლს/ მგზავრებს;
- 3.7.3. ზარალი, რომელიც მიადგა მძღოლის / მგზავრების ქონებას.

- 3.5. If loss settlement takes place without legal proceedings, the amount of indemnity will be calculated as follows:
- 3.5.1. When the property of third party is damaged, within the limit of liability **We** will indemnify:
- in case of total loss of property - the market value of the property less salvage value;
  - in case of partial damage – the cost of repairs necessary to bring the property to the condition in which it was prior to the insured event;
- 3.5.2. When life or health of the third party is damaged, within the limit of liability (stated in the **policy**) **We** will indemnify:
- the income (documentary proof is required), lost by the injured person due to the total or partial disability, but not exceeding total income for 5 (five) years;
  - the medical expenses of the injured person;
  - the income (documentary proof is required) - lost due to the death of the injured person, but not exceeding total income for 5 (five) years. Loss will be indemnified only to legatees (by Georgian Law) of the injured person;
- 3.6. If several **third parties** incur losses as a result of a single event and **Your** total liability exceeds the limit of liability indicated in the **policy**, each third party will be indemnified proportionately to his/her share in the total amount of claims arisen;
- 3.7. Exclusions to Motor Third Party Liability Insurance - **We** are not liable to indemnify **You**
- 3.7.1. any type of moral damage;
- 3.7.2. Loss or damage sustained by the driver/passengers of the insured vehicle;
- 3.7.3. Loss or damage sustained by the property of the driver/passengers.

#### 4. საერთო პირობები

- 4.1. **თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე (+995 32) 2 605 111**
- 4.2. **ჩვენი** სერვის მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას. თუ საჭიროა, სერვის მენეჯერი გამოიძახებს ევაკუატორს დაზღვეული ავტომობილის უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად (საქართველოს ტერიტორიაზე, სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას);
- 4.3. **ჩვენი** სერვის მენეჯერის მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე);

#### 4. GENERAL CONDITIONS

- 4.1. **If an insured event occurs, You have an obligation to contact Us immediately on Our 24-hour hotline (+995 32) 2 605 111**
- 4.2. **Our** Claims Manager will immediately join in the settlement process and provide **You** with all necessary assistance and advice. If needed, the Claims Manager will send an evacuator to transport the damaged vehicle to a safe place (on the territory of Georgia for vehicles, with more than 3.5t permitted gross weight);
- 4.3. In case an insured event occurs, it is forbidden to move the insured vehicle before the arrival of **Our** Claims Manager (except if required by the Police), otherwise **We** have a right to refuse the claim payment;

- 4.4. **სადაზღვევო შემთხვევისას** აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია და წარმოადგინეთ შემთხვევის ამსახველი ყველა დოკუმენტი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ **ჩვენ** არ განვიხილავთ მოთხოვნას/პრეტენზიას ზარალის ანაზღაურებაზე, თუ შემთხვევის შესახებ დაგვიანებით გვაცნობებთ. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს და ვინაობას;
- 4.5. **საერთო გამონაკლისები.** ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
- 4.5.1. ავტომობილი დაზღვეულია ნებისმიერი სხვა სადაზღვევო პოლისით / სადაზღვევო პროდუქტით;
- 4.5.2. ავტომობილის ცალკეული დეტალების და აქსესუარების დაზიანება, გარდა შემთხვევების, როდესაც აღნიშნული დაზიანება გამოწვეულია 2.1.1-2.1.6-ში მითითებული დაფარული რისკებით და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა ამ პუნქტში აღნიშნულის, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია;
- 4.5.3. გაუფასურება; ამორტიზაცია; ცვეთა; მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
- 4.5.4. დაუდგენელ ვითარებაში ავტომობილის ან მისი ნაწილების/დეტალების დაზიანება;
- 4.5.5. უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების ან დისკების დაზიანება;
- 4.5.6. ავტომობილი გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ავტომობილის გამოყენება ადგილებში, რომლებსაც არაა განკუთვნილი ავტომობილების მოძრაობისათვის);
- 4.5.7. დაზღვეულ ავტომობილში ჩამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) ან არა-ქარხნული სარკეების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი;
- 4.5.8. არ ანაზღაურდება ზარალი, გამოწვეული კატალიზატორის ქურდობით;
- 4.5.9. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება;
- 4.5.10. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული შეკეთება;
- 4.5.11. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე პირის მიზეზით);
- 4.5.12. რბოლებში მონაწილეობა, დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);
- 4.5.13. იმ შემთხვევაში თუ **თქვენ** მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (მიუხედავად 4.7 პუნქტის) მოხდება დაზღვეული ავტომობილის გამოყენება შემოსავლის მიღების მიზნით (ტაქსი) ან მოხდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაქირავება ან ნებისმიერი სხვა ფორმით მესამე პირისთვის შემოსავლის მიღების მიზნით გადაცემა, აღნიშნული ქმედების განხორციელებისას დაზღვევის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად. ასეთ შემთხვევაში **თქვენ** ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ **ჩვენ** პოლისის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები **პრემიის** 20%-ს ოდენობით, ასევე დამდგარი შემთხვევა არ ანაზღაურდება, ხელშეკრულების საფუძველზე ადრე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება კი ექვემდებარება დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას;
- 4.5.14. დაზღვეული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მასხაიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის
- 4.4. In case an insured event occurs, **You** must call the Police and provide **Us** with all the accident related documents. Please, note that **We** will not consider claims in case of late notification. **You** must also provide official documentation evidencing the identity of the driver of the insured vehicle and the fact that he/she was sober at the moment of the accident;
- 4.5. **General exclusions.** **We** are not liable for any loss or damage, caused by the following reasons:
- 4.5.1. The vehicle is covered by any other insurance policy / insurance product;
- 4.5.2. Damage to separate parts and accessories of the vehicle, except when such damage is caused by the Covered Risks specified in Sections 2.1.1–2.1.6, and simultaneously, other parts of the vehicle are also damaged as a result of such event, in addition to the damage mentioned in this Clause;
- 4.5.3. devaluation; depreciation; wear and tear; mechanical or electrical failure due to the reasons/risks not caused by the risks insured;
- 4.5.4. Damage to the vehicle or its parts/details under unidentified circumstances;
- 4.5.5. Damage to the running gear (or chassis/undercarriage), transmission, engine, tires, or wheels/rims caused by poor road conditions;
- 4.5.6. The vehicle is used in inappropriate road conditions (use of the vehicle in areas not designated for motor vehicle traffic);
- 4.5.7. Loss caused by damage to or destruction of non-factory (or non-original) parts, equipment, accessories (including audio-visual/telecommunication equipment), or non-factory mirrors installed in the Insured Vehicle;
- 4.5.8. Loss caused by the theft of the catalytic converter is not covered;
- 4.5.9. The driver of the Insured Vehicle travels in the lane designated for oncoming traffic in violation of traffic rules;
- 4.5.10. repair outside Georgia;
- 4.5.11. the insured vehicle's driver is under the influence of alcohol or drugs (regardless of whether the accident was caused by the driver of the insured vehicle or other person);
- 4.5.12. participation in any kind of race, test drive, off-road;
- 4.5.13. In the event that the Insured Vehicle is used for the purpose of generating income (taxi) or is rented out, or is transferred to third parties for the purpose of generating income in any other form, during the term of the Agreement (notwithstanding Section 4.7), the Insurance Agreement shall be deemed void upon the execution of such action. In such a case, you shall be obliged to reimburse us for the costs associated with the administration of the policy, in the amount of 20% of the premium. Furthermore, any resulting loss (or insured event) shall not be indemnified, and any insurance indemnification previously paid under the Agreement shall be subject to immediate repayment;
- 4.5.14. when the insured vehicle is stolen, hijacked and/or its technical data does not correspond to VIN code data (of the manufacturer or other official source);

- საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს, რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;
- 4.5.15. ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
- 4.5.16. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- 4.5.17. **თქვენი** და/ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ქმედება და/ან უხეში გაუფრთხილებლობა (უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, როდესაც თავისი მოქმედებით არ იჩენს აუცილებელ ყურადღებას უჩვეულოდ მაღალი ხარისხით);
- 4.6. **ზარალის თავიდან აცილების მოვალეობა**
- 4.6.1. **თქვენ** ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ავტომობილის დაზიანება;
- 4.6.2. მიიღეთ, გონივრულობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა მოპარული ავტომობილის დასაბრუნებლად და ზარალის შესამცირებლად;
- 4.7. **საფრთხის ცვლილება - თქვენ** ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ, წერილობით შეგვატყობინოთ დაზღვეული ავტომობილის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის, ავტომობილის გამოყენების და განაცხადში მითითებული პარამეტრების შეცვლის შესახებ;
- 4.8. **ანაზღაურების ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება**
- 4.8.1. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება **პოლისში** აღნიშნული **ფრანშიზის** გამოკლებით;
- 4.8.2. სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, **ანაზღაურების ლიმიტი** შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხების და **ფრანშიზის** ოდენობით;
- 4.8.3. თუ **პრემიის** გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა მოხდა **პრემიის** სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება **ანაზღაურების ლიმიტის** 30%-ს, ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი **პრემიის** ოდენობა;
- 4.8.4. **ჩვენ** მიერ ჯამურად ანაზღაურებული თანხა არ გადააქარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებას ან **პოლისში** მითითებულ **ანაზღაურების ლიმიტს** (ან დარჩენილ ლიმიტს, იმ შემთხვევაში, თუ **პოლისზე** უკვე მოხდა ზარალის ანაზღაურება. **ანაზღაურების ლიმიტის** შემცირება მოხდება ყოველი სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ 4.8.2. პუნქტის შესაბამისად);
- 4.8.5. იმ შემთხვევაში, თუ ზარალის მომენტში ავტომობილის საბაზრო ღირებულება ნაკლებია ან ტოლი **პოლისში** მითითებულ **ანაზღაურების ლიმიტზე**, სრული ზარალის შემთხვევაში ასანაზღაურებელ ზარალს გამოაკლდება დაზიანებული ავტომობილის ნარჩენი ღირებულება და **პოლისში** მითითებული **ფრანშიზა**. ასეთ შემთხვევაში, დაზიანებული ავტომობილი დარჩება **თქვენ** საკუთრებაში;
- 4.8.6. იმ შემთხვევაში, თუ ზარალის მომენტში ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღემატება **პოლისში** მითითებულ **ანაზღაურების ლიმიტს**, სრული ზარალის შემთხვევაში **ანაზღაურების ლიმიტს** გამოაკლდება **ფრანშიზა** და დაზიანებული ავტომობილის ნარჩენი ღირებულება იმ პროპორციით, როგორც ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღემატება **პოლისში** მითითებულ **ანაზღაურების ლიმიტს**. ასეთ შემთხვევაში, დაზიანებული ავტომობილი დარჩება **თქვენ** საკუთრებაში;
- 4.8.7. ჩვენი გადაწყვეტილებით - შესაძლებელია ზარალი ანაზღაურდეს სრულად, ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე - ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო
- 4.5.15. damage is caused by ionized radiation or radioactive contamination, nuclear substances, transportation of radioactive, toxic, explosive or other hazardous substances;
- 4.5.16. war (declared or undeclared); intervention or military action; Strikes, Riots, and Civil Commotion; a terrorist act or an attempted terrorist act;
- 4.5.17. Willful act and/or gross negligence by **You** or authorized driver (Gross negligence of the driver is excessive carelessness on his part. A person acts with gross negligence when his actions do not show the necessary care of duty to an unusually high degree);
- 4.6. **Liability to avoid loss or damage**
- 4.6.1. **You** are liable to take all the required and necessary steps to avoid loss or damage to the insured vehicle;
- 4.6.2. Take every step, within reason, to return the stolen vehicle and minimize loss;
- 4.7. **Change in the risk - You** are liable to send us a prompt notification in writing on the transfer of the insured vehicle to the new owner, the use of the vehicle or any changes stated in the application;
- 4.8. **The sum insured and insurance indemnity**
- 4.8.1. In case of an insured event relevant losses shall be indemnified using the deductible stated in the **policy**;
- 4.8.2. Following an insured event, the Limit of indemnification shall be reduced by the amount of the previously compensated amounts and the deductible;
- 4.8.3. When a **premium** is paid by installments, the insured event takes place before the full **premium** is paid and, the loss exceeds 30% of the **sum insured**, the unpaid **premium** will be deducted from the indemnity;
- 4.8.4. The total amount indemnified by us shall not exceed the market value of the Insured Vehicle at the time of the loss, or the limit of indemnity specified in the Policy (or the remaining limit, if compensation for loss has already been paid under the Policy. The limit of indemnity shall be reduced after each insured event in accordance with Section 4.8.2);
- 4.8.5. In the event that the market value of the vehicle at the time of the loss is less than or equal to the limit of indemnity specified in the Policy, the Salvage Value of the damaged vehicle and the Deductible specified in the Policy shall be subtracted from the loss in the case of a Total Loss. In such a case, the damaged vehicle shall remain your property;
- 4.8.6. In the event that the market value of the vehicle at the time of the loss exceeds the limit of indemnity specified in the Policy, the Deductible and the Salvage Value of the damaged vehicle shall be subtracted from the limit of indemnity in the case of a Total Loss, in the proportion by which the market value of the vehicle exceeds the limit of indemnity specified in the Policy. In such a case, the damaged vehicle shall remain your property;
- 4.8.7. At our discretion, the loss may be indemnified in full without deducting the Salvage Value – in such a case, you shall be obliged to transfer the ownership rights to the damaged vehicle to us prior to the insurance compensation;

- ანაზღაურებამდე გადმოგვეთ ნარჩენებზე საკუთრების უფლება;
- 4.8.8. იმ შემთხვევისათვის, თუ ზარალის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღემატება 10,000 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ლარში/ევროში), **პოლისში** მითითებული **ანაზღაურების ლიმიტი** ავტომატურად ითვლება შემცირებულად იმდენი პროცენტით საწყისი **ანაზღაურების ლიმიტიდან**, რამდენითაც ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღემატება 10,000 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ლარში/ევროში);
- 4.8.9. დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს **ანაზღაურების ლიმიტის**;
- 4.8.10. სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- 4.8.11. ზარალის ანაზღაურების მიზნით, **ჩვენ** უფლება გვაქვს დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადავიციხოთ პირდაპირ იმ სარემონტო/შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც იქნება წარმოდგენილი დამდგარი ზარალის კალკულაცია (**პოლისში** აღნიშნული **ფრანშიზის** გამოკლებით);
- 4.8.12. **სარემონტო ხარჯების კალკულაცია.** **ჩვენ** მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
- 4.8.13. თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი არ აღემატება 3 კალენდარულ წელს და შექმნილია შესაბამისი ბრენდის ოფიციალურ დილერთან საქართველოში, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით აღნიშნული ბრენდის ოფიციალური დილერის კალკულაციას.  
ყველა სხვა შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ თავად შევარჩიოთ ავტომობილის შეკეთებელი ავტოსერვის ცენტრი და დაზიანებული ავტომობილის / მისი ნაწილების ღირებულება ავანაზღაუროთ მათი მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებით;  
თუ **თქვენ** უარს იტყვით **ჩვენ** მიერ შეთავაზებულ ავტომომკეთებელი სერვის ცენტრის მომსახურებაზე და თავად შეარჩევთ ავტოსერვის ცენტრს დაზიანებული ავტომობილის შესაკეთებლად, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება **ჩვენ** მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, მიუხედავად **თქვენ** მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის;
- 4.8.14. თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი აღემატება 3 წელს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას – **ჩვენ** ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას ან ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების არა-ორიგინალი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას, **ჩვენ** გადაწყვეტილების შესაბამისად;
- 4.8.15. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია დაზღვეული ავტომობილის ნაწილი/დეტალი ისე, რომ დაზიანება ხელს არ უშლის დაზღვეული ავტომობილის უსაფრთხო ექსპლუატაციას, **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ შესაბამისი ნაწილის/დეტალის შეკეთების ღირებულებას;
- 4.8.16. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მინისათვის საქართველოს ბაზარზე შეუძლებელია მეორადი ორიგინალი მინის მოძიება, ავანაზღაურებთ აღნიშნული დაზიანებული მინის ახალი არა-ორიგინალი მინით ჩანაცვლების ღირებულებას;
- 4.8.8. In the event that the market value of the Insured Vehicle at the time of the loss exceeds 10,000 USD (or the equivalent in GEL/EUR), the limit of indemnity specified in the Policy shall automatically be considered reduced by the percentage by which the market value of the vehicle exceeds 10,000 USD (or the equivalent in GEL/EUR);
- 4.8.9. Indemnification for damaged and/or stolen accessories shall be paid considering the market value of these accessories prior to the insured event, but shall not exceed the limit of indemnity;
- 4.8.10. Any repair or other costs that would improve the condition of the Insured Vehicle compared to its condition prior to the insured event shall not be subject to insurance indemnification;
- 4.8.11. For the purpose of loss indemnification, we reserve the right to transfer the repair costs of the Insured Vehicle / an adequate amount for the loss directly to the account of the repair center from which the loss calculation was submitted (minus the Deductible specified in the Policy);
- 4.8.12. **Repair Cost Calculation.** The costs of repair/restoration/replacement to be indemnified by us shall be determined based on the average market prices existing at the time of the loss;
- 4.8.13. If the age of the Insured Vehicle does not exceed 3 calendar years and it was purchased from the official dealer of the respective brand in Georgia, we shall rely on the calculation of the official dealer of that brand when determining the repair/restoration/replacement cost to be indemnified.  
In all other cases, we are authorized to select the vehicle repair service center ourselves and to compensate the value of the damaged vehicle / its parts by the cost of replacing them with used (or secondary) parts;  
If you refuse the repair service center offered by us and select a vehicle repair service center yourself to repair the damaged vehicle, we reserve the right to issue insurance indemnification within the scope of the cost estimate prepared by our selected service center, notwithstanding the cost estimate submitted by your selected service center;
- 4.8.14. If the age of the Insured Vehicle exceeds 3 years and the parts damaged as a result of the insured event are not subject to restoration – we shall compensate the cost of replacing those parts with used (or secondary) parts, or compensate the cost of replacing those parts with non-original parts, according to our decision;
- 4.8.15. If a part/detail of the Insured Vehicle is damaged as a result of the insured event in such a way that the damage does not impede the safe operation of the Insured Vehicle, we shall indemnify only the cost of repairing the respective part/detail;
- 4.8.16. Furthermore, if an original used glass cannot be found on the Georgian market for the glass damaged as a result of the insured event, we shall compensate the cost of replacing the damaged glass with a new non-original glass;
- 4.8.17. In case of disagreement on the volume of the loss, the assessment shall be carried out at the LEPL Levan

- 4.8.17. ზარალის მოცულობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შეფასება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ამასთან, შეფასებაზე გასაწევი ხარჯები მხარეებს შორის განაწილდება თანაბრად;
- 4.8.18. ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- 4.8.19. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** იღებთ კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღემატება **ფრანშიზის** ოდენობას, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და **ფრანშიზას** შორის სხვაობის ოდენობით;
- 4.8.20. წერილობითი განცხადება ზარალის შესახებ უნდა მოგვაწოდოთ სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;
- 4.9. **თქვენი მოვალეობანი.** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ან დაგვიანება თანხის ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ რამდენიმე პირობა, კერძოდ:
- 4.9.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 4.9.2. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით **ჩვენს** ცხელ ხაზზე (+995 322 605 111) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 4.9.3. დაგვიკავშირდით, თუ ამ ხელშეკრულების მონაწილე (დამზღვევი / მოსარგებლე / უფლებამოსილი მძღოლი / მგზავრი) რომელიმე პირის წინააღმდეგ ტარდება იურიდიული ზომები სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე;
- 4.9.4. არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა **თქვენს** თავზე **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 4.9.5. იმ შემთხვევაში, როდესაც **ჩვენ** მიერ ანაზღაურდება (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლა, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლებული იქნება დაზიანებული დეტალის ნარჩენი ღირებულება; შესაძლებელია, **ჩვენი** გადაწყვეტილებით, ანაზღაურდეს (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლის ღირებულება სრულად-ასეთ შემთხვევაში **თქვენ** ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ნაწილების განკარგვის/საკუთრების უფლება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე; იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** მიერ ობიექტური მიზეზებით (რაც არ არის დაკავშირებული **თქვენ** მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) ვერ ხორციელდება ავტომობილზე / დაზიანებულ ნაწილებზე **ჩვენთვის** საკუთრების უფლების გადმოცემა, ან/და არსებობს სხვა გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის **ჩვენზე** საკუთრების უფლების გადმოსვლას, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ განადგურებული ავტომობილის/ დაზიანებული ნაწილების ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოვქვითოთ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია - მოვითხოვთ ასეთი თანხების ანაზღაურება **თქვენგან**. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა ხდება **ჩვენი** ან **ჩვენ** მიერ დანიშნული შემფასებლის მიერ;
- 4.9.6. არ დაიწყოთ სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული ავტომობილის შეკეთება **ჩვენთან** შეთანხმების გარეშე;
- 4.9.7. **ჩვენი** მოთხოვნის საფუძველზე მოგვაწოდოთ ზარალის დარეგულირებისათვის აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ

- Samkharauli National Forensic Bureau. Furthermore, the expenses incurred for the assessment shall be divided equally between the parties;
- 4.8.18. The costs of repair/replacement/restoration of the parts of the Insured Vehicle that had pre-existing damage prior to the insured event shall not be subject to indemnification;
- 4.8.19. If **You** receive compensation from the person guilty of accident and this compensation is higher than the deductible, the insurance indemnity will be reduced by the difference between the compensation and the deductible;
- 4.8.20. A written claim for loss or damage shall be delivered to **Us** no later than within 10 (ten) working days after the insured event. Otherwise, **We** reserve the right to reject the claim;
- 4.9. **Your obligations.** In order to avoid any kind of problems (including claim rejection), or the delay in receiving an indemnity, please, observe the following rules, in particular:
- 4.9.1. Notify Patrol Police immediately when an insured event takes place;
- 4.9.2. Contact **Us** immediately on the hot-line (+995 32 2 605 111) with full information about the event;
- 4.9.3. Notify **Us** of any legal proceedings against any party (Insured / Beneficiary / Authorized driver / Passenger) to this Agreement undertaken in connection with the insured event;
- 4.9.4. Never assume responsibility for an accident/occurrence without a written agreement with **Us**;
- 4.9.5. In the event that the replacement of damaged parts is indemnified by us (excluding the Deductible), the salvage Value of the damaged parts shall be deducted from the insurance indemnification. At our discretion, the cost of replacing the damaged parts may be fully indemnified (excluding the Deductible) – in such a case, you shall be obliged to transfer the right of disposal/ownership of the damaged parts to us prior to the payment of the insurance indemnification. In the event that you are unable to transfer the ownership rights of the vehicle / damaged parts to us due to objective reasons (which are not related to your breach of the obligations provided for by these terms or any unlawful action), and/or there exists any other circumstance that makes it impossible to transfer the ownership rights to us, we shall be authorized to deduct the market value of the destroyed vehicle/damaged parts from the insurance indemnification to be issued, or, if the insurance indemnification has already been paid – to demand reimbursement of such amounts from you. Furthermore, in such a case, the salvage value shall be determined by us or by an assessor appointed by us.
- 4.9.6. Do not launch repairing process of the damaged vehicle without **Our** permission;
